# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 464

"9" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

**მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114) და ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112) არსებული უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114) და ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112) არსებული უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის №25.1686.1915 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

2. მიეცეს თანხმობა თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114) და შარტავას ქ. №3 (ს/კ №01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ 2025 წლის 13 ივნისის №25.990.1105 განკარგულებით დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის №240 განკარგულებით შეთანხმებული, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისთვის განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის №240 განკარგულების პირველი პუნქტის ,,ა.გ" და ,,ბ.ა" ქვეპუნქტებით დადგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2026 წლის 7 ოქტომბერი.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე